

წამლის და ალკოჰოლის მოხმარების პრობლემა ქუჩასთან დაკავშირებულ  
ახალგაზრდებთან

მარიამ ბედელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბედელაძე

25.06.2019

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოში, ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებთან წამლის და ალკოჰოლის მოხმარების პრობლემას. ნაშრომში განხილულია რამდენად ხშირად და რა სახის მავნე ნივთიერებებს გამოიყენებენ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები, რა მიზეზებით იწყებენ აღნიშნული ნივთიერებების მოხმარებას და რა ზეგავლენას ახდენს წამლის და ალკოჰოლის გამოყენება მათ ქცევაზე.

ასევე, ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავებულია კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. წინამდებარე კვლევა არის სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის მიერ, ჩატარებული ფართო მასშტაბიანი კვლევის ნაწილი.

საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. სულ გამოკითხულ იქნა 40 რესპოდენტი, რომლებიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ ქუჩაში. კითხვარი შემუშავდა ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდებისთვის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებთან წინასწარ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე.

კვლევის შედეგების ანალიზიდან გამოვლინდა, რომ საქართველოში ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებში საკმაოდ მწვავედ დგას ალკოჰოლის და წამლის მოხმარების პრობლემა. ბავშვები ისეთი მიზეზების გამო იწყებენ ნარკოტიკის და ალკოჰოლის მოხმარებას როგორცაა: ოჯახში ძალადობა, მშობლის/მშობლების გარდაცვალება, მიმზადებლობა, შეყვარებულთან დაშორება, ყოველდღიური პრობლემების დავიწყება და ა. შ.

**სამიუბო სიტყვები:** *ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, მავნე ნივთიერებები, დამოკიდებულება.*

## Abstract

This paper relates to the problem of drug addiction and alcoholism by youth related to the street in Georgia. In this paper is reviewed as to how often and what kind of harmful substances are used by children living and/or working in the street, why do they begin to apply above mentioned substances and what kind of impact does drug addiction and alcoholism have on their behavior.

Also, in the final part of paper are provided recommendations developed based on the results of study. Following study is the part of wide-scale study carried out by Research Center for Advancing Science in Social Services and Interventions.

In order to have studies the issue here was applied qualitative method of research, namely half structured interview. There were inquired total 40 respondents, living and/or working in the street. The inquiry was drawn out under the basis of in advance carried out interviews with the experts employed at service provider organizations for the youth related to the street.

Pursuant to the analysis of study results is revealed that drug addiction and alcoholism of youth related to the street is too urgent in Georgia. Children begin to apply drug and alcohol under the reasons such as: family violence, death of parent(s), imitation, parting from lover, forgetting daily problems and etc.

**Key words:** youth related to the street, children living and/or working in the street, alcohol, drugs, harmful substances, dependence.